

კითხვის ძირითადი მიზანი ინგლისური ენის სწავლების პროცესში

ხატია გაბეშია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების დოქტორანტი

ანოტაცია

უცხო ენის სწავლის დროს, კითხვის მიზანი სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობაა. ტექსტის გაგება ცდება მხოლოდ სიტყვების და გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობას და გადათარგმნას. ის რთულ, სააზროვნო პროცესს წარმოადგენს და გულისხმობს წაკითხულიდან აზრის გამოტანას, გარკვეულ საკითხებისადმი დამოკიდებულების გამყარებას ან ახალი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. სტუდენტი უნდა აანალიზებდეს კითხვის მიზანს და იყენებდეს შესაფერის სწავლის სტრატეგიებს მის მისაღწევად. წაკითხულის გაგების მნიშვნელოვნება გამოიხატება იმ მხრივაც, რომ ის სააზროვნო უნარების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. იმისთვის, რომ ადამიანმა დაიწყოს აზროვნება, აუცილებელია გონებას მიეწოდოს ინფორმაცია. სწორედ ინფორმაციის გაგება/გაანალიზების პროცესში ერთვება აზროვნება. კითხვის პროცესის სწორად წარმართვის და შესაბამისად სააზროვნო უნარების განვითარებისთვის პირველ რიგში, მასწავლებელი უნდა აანალიზებდეს კითხვის მნიშვნელობას და როლს სწავლის დროს და სწორად დაგეგმილი და წარმართული სტრატეგიების მეშვეობით აღწევდეს სტუდენტებში კითხვის ღირებულების დანახვას. ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა დრო ეთმობა ტექსტების დამუშავებას სწავლის პროცესში. საკითხავი მასალის სააზროვნო უნარების განსავითარებელი სტრატეგიებით დამუშავებისთვის აუცილებელია მასზე იმდენი დროს დათმობა, რამდენიც საჭიროა აზროვნების ყველა დონის სტრატეგიის გამოსაყენებლად. კითხვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელსაც სტუდენტი იყენებს „გაგების მონიტორინგია“. ის გულისხმობს მკითხველის მიზანს, განწყობას და გააზრებულ ქმედებას ტექსტის შინაარსის გასაგებად.

საკვანძო სიტყვები: კითხვის მიზანი, ტექსტის გაგება, სტუდენტის სააზროვნო უნარების განვითარება

რეალურ ცხოვრებაში კითხვის მიზანი ადამიანებისთვის სხვადასხვაა, ზოგი ადამიანისთვის ის უბრალოდ განტვირთვის საშუალებას წარმოადგენს, ზოგი კითხულობს იმ მიზნით, რომ ინფორმაცია მიიღოს, ზოგი კი იმ მიზნით, რომ ცოდნა შეიძინოს და შეძლოს ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სწორედ ამ კუთხით გვინდა განვიხილოთ უცხო ენის, კერძოდ კი ინგლისური ენის სწავლების პროცესი.

უცხო ენაზე წაკითხულის გაგება ცდება მხოლოდ სიტყვების და გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობას და გადათარგმნას. ინგლისურად კითხვის დროს, შეიძლება იგებდე ყველა სიტყვას და ცნობდე გრამატიკულ კონსტრუქციებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგებ წაკითხულს. ტექსტის გაგება რთულ, სააზროვნო პროცესს წარმოადგენს და გულისხმობს წაკითხულიდან აზრის გამოტანას, გარკვეულ

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

საკითხებისადმი დამოკიდებულების გამყარებას ან ახალი შეხედულებების ჩამოყალიბებას. (FJ King, Ludwika Goodson, Faranak Rohani, 13).

შინაარსის გაგება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ჩვენ განვიხილავთ უცხო ენაზე კითხვას, რა დროსაც კითხვის პროცესი ორმაგ სირთულეს წარმოადგენს. სტუდენტები უამრავი სირთულის წინაშე დგანან, რადგან იმ ენაზე უწყვეტ კითხვა, რომელიც მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. მათ შორის: უცნობი სიტყვები, ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ის ფაქტი, რომ ერთ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება, გრამატიკული დროების და კონსტრუქციების გაგება-გაანალიზება და კონტექსტთან დაკავშირება, რთული ქვეწყობილი წინადადებების გააზრება და აზრის გამოტანა.

წაკითხულის გაგება წინაპირობაა სტუდენტის სააზროვნო უნარების განვითარების. იმისთვის, რომ ადამიანმა დაიწყოს აზროვნება, აუცილებელია გონებას მიეწოდოს ინფორმაცია. სწორედ ინფორმაციის გაგება/გაანალიზების პროცესში ერთვება აზროვნება. (ლორთქიფანიძე,114)

სწავლის პროცესში, კრიტიკული აზროვნების განსავითარებელი სტრატეგიების გამოყენებისთვის, აუცილებელია ინფორმირებული, გამოცდილებების მქონე სტუდენტების არსებობა, სხვაგვარად ისინი ვერ შეძლებენ ამათუ იმ საკითხის განხილვას, მათზე მსჯელობას. საკითხავი მასალა კი ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

კითხვის პროცესის სწორად წარმართვის და სააზროვნო უნარების განვითარებისთვის, პირველ რიგში, მასწავლებელი უნდა აანალიზებდეს კითხვის მნიშვნელობას და როლს სწავლების დროს, სწორად დაგეგმილი სტრატეგიების მეშვეობით უნდა შეძლოს სტუდენტებს დაანახოს კითხვის ღირებულება.

მასწავლებლების მიდგომას, სწავლის პროცესში წასაკითხი ტექსტების მიმართ, დიდი როლი ენიჭება. რა დანიშნულებას ხედავენ ისინი კითხვაში? ბევრი მათგანი ტექსტებს უდგება, როგორც ტესტებში შემავალ ერთ-ერთ საკითხს და მხოლოდ მოცემული სავარჯიშოების გაკეთებით შემოიფარგლება. ზოგი კი ფიქრობს, რომ ტექსტის მეშვეობით შესაძლებელია ახალი სიტყვების დამახსოვრება. აქედან გამომდინარე, სტუდენტებს აძლევენ ტექსტს სასწავლად და მოსაყოლად.

პირველ შემთხვევაში (მხოლოდ სავარჯიშოების გაკეთება), სრულიად უგულვებელყოფილია ტექსტის შინაარსი, რადგან ტექსტის შემდგომი სავარჯიშოების შესასრულებლად არ არის აუცილებელი შინაარსის სრულყოფილად გაგება და მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის მოძებნითაც არის შესაძლებელი სავარჯიშოს სწორად შესრულება. ტექსტზე ამგვარი მუშაობის დროს, სტუდენტი არ იყენებს ტექსტის გაგების სტრატეგიებს. შესაბამისად, არ ხდება ტექსტის ანალიზი, სტუდენტი ვერ იგებს წაკითხულის შინაარსს, ვერ გამოაქვს აზრი და ვერ აანალიზებს ტექსტის შექმნის მიზანს. მეორე შემთხვევაში (ტექსტის მოყოლა) კი, სტუდენტი გაუაზრებლად იზეპირებს ტექსტს, ვერ ახდენს ახალი სიტყვების გააზრებას და გამოყენებას. რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი ვერც სხვა სიტუაციაში მოახერხებს მათ გამოყენებას. შესაბამისად, ტექსტების მოყოლა სიტყვების სწავლის მიზნით, არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად. რაც ყველაზე მთავრია, ზემოთ მოყვანილ ორივე

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

შემთხვევაში, სტუდენტი საკითხავ მასალაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებას ვერ ახდენს.

ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა დრო ეთმობა ტექსტების დამუშავებას სწავლის პროცესში. ზოგადად, სააზროვნო უნარების განსავითარებელი სწავლება მოითხოვს ნაკლებ მასალაზე დიდი დროის დათმობას, რაც განაპირობებს სტუდენტების განვითარებას და მათ მაღალ აკადემიურ მოსწრებას. საკითხავი მასალის სააზროვნო უნარების განსავითარებელი სტრატეგიებით დამუშავებისთვის, აუცილებელია მასზე იმდენი დრო დათმობა, რამდენიც საჭიროა აზროვნების ყველა დონის სტრატეგიის გამოსაყენებლად. ასეთ შემთხვევაში, ტექსტის დამუშავება გარდა სააზროვნო უნარებისა, სტუდენტის კომუნიკაციის უნარის განვითარების საშუალებაცაა, რაც გამოიხატება მსჯელობით, დისკუსიით და სხვადასხვა აქტივობების ჯგუფური ფორმით შესრულებით.

გამომდინარე იქიდან, რომ წაკითხულის გაგება რთულ პროცესს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში მრავალფეროვანი კითხვის სტრატეგიების გამოყენება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვის სტრატეგიაა „გაგების მონიტორინგი“. ის მოიცავს მკითხველის მიზანს, განწყობას და გააზრებულ ქმედებას წაკითხულის გასაგებად. (Danielle S. McNamara, 23) „გაგების მონიტორინგი“ იგივე მეტაკოგნიტური სტრატეგიაა და გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესის მართვას. მოცემულ შემთხვევაში, კი საკუთარი კითხვის პროცესზე დაკვირვებას და მართვას.

„გაგების მონიტორინგის“ სტრატეგიის სწავლება და გამოყენება სტუდენტებისთვის აუცილებელია, რადგან:

- ბევრმა მათგანმა არ იცის თუ რამდენად ადეკვატურად იგებს წაკითხულის შინაარსს;
- ბევრ მკითხველს აქვს იმის ილუზია, რომ იგებს ტექსტს;

კარგი მკითხველისგან განსხვავებით, ცუდ მკითხველს არ აქვს საკუთარი კითხვის სტილი შემუშავებული. ის არ აკვირდება საკუთარი კითხვის პროცესს და შესაბამისად, ვერ ხვდება კითხვის დროს რა პრობლემებს აწყდება. მათთვის გაგებულად ითვლება ტექსტი წაკითხვის, გადათარგმნის და მოცემული სავარჯიშოების გაკეთების შემდეგ, მაგრამ მისთვის პრობლემას წარმოადგენს გამოიტანოს აზრი წაკითხულიდან. ამ შემთხვევაში, სტუდენტმა ტექსტის მთავარ იდეად შეიძლება დაასახელოს კითხვის დროს დაამახსოვრებული რომელიმე ცალკეული მონაკვეთი. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები არ იყენებენ კითხვის სტრატეგიებს, არ იციან თუ რა არის კითხვის მთავარი მიზანი, მათ ჰგონიათ, რომ წაკითხვით, გადათარგმნით და სავარჯიშოების მეტ-ნაკლებად შესრულებით სათანადოდ ამუშავებენ საკითხავ მასალას, რადგან მათთვის კითხვა დაკავშირებულია სიტყვების და გრამატიკული კონსტრუქციების თარგმნასთან. კითხვის მიზანი ეს რომ იყოს, მაშინ აღარ ექნებოდა მნიშვნელობა წასაკითხი მასალის აზრს, ინფორმაციულობას თუ სტრუქტურირებულობას. ინგლისურ ენაზე, ისევე როგორც მშობლიურ ენაზე, კითხვის მიზანი ემსახურება ახლის სწავლას და გაგებას.

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

გაგების მონიტორინგის სტრატეგიის გამოსაყენებლად, აუცილებელია კითხვის სამივე ეტაპის დროს, სტუდენტები აკეთებდნენ ისეთ აქტივობებს, რომელიც ტექსტის შინაარსის გაგებაზეა ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანია, კითხვის დაწყებამდე, მასწავლებლის მიერ გაგების მონიტორინგის, სტრატეგიის გამოყენების ინსტრუქციის, სისტემატიურად მიწოდება სტუდენტებისთვის.

ტექსტის სწავლების მიზნად წაკითხულის გაგების დასახვა, იწვევს კითხვის პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას. ეს ხელს უწყობს როგორც სწავლას, ასევე კითხვის მიმართ სიყვარულს. როდესაც სტუდენტმა იცის, რომ ამა თუ იმ აქტივობას აქვს მიზანი, ეს მისთვის გამოწვევად იქცევა და მიზნის მისაღწევად მეტი ინტერესს იჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. FJ King, Ludwika Goodson, Faranak Rohani , high order thinking skills.
http://www.cala.fsu.edu/files/higher_order_thinking_skills.pdf
2. დ.ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, თბილისი, 1981
3. Danielle S. McNamara, Reading comprehension strategies, Theories, Intervention and Technologies, 2007